„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი ოქტომბრის 1-დამ წლის დამლევამდე 3 მანათი.

ოქტომბრის 13, პარასკევს „დროების“ რედაქცია გადავა ახალს სადგურში, დ. სარაჯოვის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ. (10—1)

### შინაური ქრონიკა

— მომავალს კვირისთვის, როგორც შევიტყეთ, დრამატიულის დასის მიერ დანიშნულია წარმოსადგენად «მასკარადი», დრამა 4 მოქმედებად, თხზულება ლერმონტოვისა.

— ამავე დასის მოთავე აპირობს ერთის წარმოდგენის გამართვას, რომლის შემოსავლიდამაც ნახევარი გადაცემულ იქმნება ბეთანიის ეკლესიის გასაახლებლად.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენის პოეტის აკაკის ლექციები „ვეფხვის-ტყაოსანზე“ იბეჭდება «ივერიის» სექტემბრის წიგნში, რომელიც ამ მოკლე ხანში გამოვა.

— როგორც გვატყობინებენ, ქართული წერის «დედანი», შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, ჯერ დირექციის სკოლებში არც ერთი ეგზემპლიარი არ გაუგზავნიათ. მიზეზი ამ გარემოებისა ის არის, რომ ჯერ ეს ახალი სახელმძღვანელო მსწავლულთ კომიტეტს არ გაუსინჯავს პეტერბურგში და ნება არ დაურთვია მის ხმარებისათვისაო.

— გუშინ-წინ, ოქტომბრის 8-ს, სამოსამართლო პალატაში გარჩეულ-იქმნა სააპელაციო საჩივარი თ. ჩიჩუასი, რომელსაც ბრალდება მსხრიკაძის მკვლელობა «საქართველოს» სასტუმროში. ოლქის სასამართლომ გადუწყვიტა ბრალდებულს ციმბირში გადასახლება.

— ოზურგეთიდამ გვწერენ: „აქაურ სამოქალაქო სასწავლებელს ბოლოს, როგორც იქნა, ღირსა ხეირიან სადგომში გადასვლა. ეს სამი კვირა იქნება, რაც სკოლის ახალი შენობა აკურთხეს. სკოლას ახლა აქვს დიდი ეზო; საკლასო ოთახებიც თავის მებელით არის გაკეთებული სკოლის ინსპექტორის წყალობით პედაგოგიურ მოთხოვნილებათა შეთანხმებით.

მოსწავლეთა რიცხვი ამ სასწავლებელში სამას სულს აღემატება. ამბობენ, რომ ბ. პ—ი (ინსპექტორი ამ სასწავლებლისა) ცდილობს მთავრობის წინაშე, რათა სამოქალაქო სასწავლებელი აგრონომიულ სკოლად გადააკეთონო.

თუ მივიღებთ მხედველობაში (რატომ არა?), რომ გურული ხალხი ეკონომიურად დაცემულია, მეურნეობა მამა პაპურ ვითარებაშია, ხოლო მდიდარი ბუნება კი მომცემია ყველაფრისა,—ეს განზრახვა ფრიად მოსაწონი უნდა იყოს. პედაგოგებისა არ იყოს, რად უნდა ბავშვს ისეთი სწავლა, რომელიც არც სულს არგებს და არც ხორცს. უმეტესი ნაწილი ამ სასწავლებელში კურს-დასრულებულთა სიღარიბის და სხვ. და სხვ. მიზეზების გამო სწავლას ვე(რ) აგრძელებს და ისევ მამა-პაპეულს მდგომარეობას უბრუნდება.

მეორე ამბავი ისევ სკოლების შესახებ. მისი უგანათლებულესობა გრიგოლ გურიელი აპირებსო სამოქალაქო და საქალებო სასწავლებელთა სასარგებლოდ რამდენიმე ათასი მანათის შეწირვას. რაღა თქმა უნდა—ეს ძრიელ სამადლო საქმე იქნება; მეტადრე, საქალებო სკოლის მდგომარეობა იმ გვარია ამ ჟამად, რომ ის ფული კაი ხნობით მოუბრუნებს მას სულს....

— ალექსანდროპოლიდამ სწერენ გაზ. «კავკაზს», რომ იქ ოქტომბრის 7-ს ღამით მოსულა თოვლი და დილისთვის საკმაოდ ღრმად დაუდვია გარეშემო.

— გაზ. „ნორ-დარ“-ს სწერენ სიღნაღიდამ, რომ აქ ძალიან იაფობააო. ფუთი ფქვილი იყიდება თურმე 40—50 კ. საუკეთესო ღირსებისა—60—70 კაპ., ხორცი—5 კაპ. გირვ., ყველი—15 კ.; ერბო—25 კ., ღვინო—თუნგი—50—60 კ. და სხვ.

ციებ-ცხელება. ქვავილი ისევ ისე გახშირებულია და მძვინვარებს სიღნაღში. დღე არ გავა, რომ 2 და 3 ყმაწვილი არ იმსხვერპლოს. გარეშემო სოფლებში უფრო ძრიელ არის გავრცელებული, ვიდრე თვით ქალაქშიო.

ამაზე მეტი ღვთის-წყრომა იქნება, რომ იმ გვარ ავადმყოფობასაც ვერ ვებრძოდეთ, რომელიც მეცნიერებისაგან დიდი ხანია დაძლეულია აცრის საშუალებით. მაშინ რაღა უნდა ვქნათ, რომ ისეთი ავადმყოფობა გახშირდეს, რომელსაც ვერც აცრა შველის, და ხშირად ვერც წამლობა...

### ქართული თეატრი

წარმოდგენა ოქტომბრის 7.

(„ხანუმა“, კომედია 3 მოქმედებად და ოთხ სურათად; თხზ. ავქ. ცაგარლისა, „დილა ქორწილის შემდეგ“ ვოდევილი 1 მოქმედებად გადმოკ. ა. მოჩხუბარიძისაგან).

ოქტომბრის 7 ჩვენმა დასმა გამართა მეორე წარმოდგენა. კვირა საღამო იყო და, როგორც კვირას შეეფერებოდა, თვით პიესებიც საკვირაონი აერჩიათ. თამაშობდენ ავქ. ცაგარლის კომედიას „ხანუმა“ და ერთს იმ მრავალს ვოდევილთაგანს, რომელნიც მუდამ წარმოდგენებს კუდად მოებმებიან ხოლმე და ასე თუ ისე,ართობენ სათეატრო საზოგადოებას.

უნდა ვსთქვათ, რომ «ხანუმას» ნახვამ სცენაზე უფრო თვალ-საჩინოდ გადაგვიშალა თვალ-წინ, როგორც ღირსება ავტორის კალმისა, ისე ნაკლულევანებაც. როგორც ამას წინად შენიშვნაშიცა ვსთქვით, „ხანუმა“ კერძოდ და ავქ. ცაგარლის სხვა პიესებიც საზოგადოდ, სასცენონი არიან, სწრაფად და ინტერესით მიმდინარეობენ სცენაზე, ალაგ-ალაგ ნამდვილი ფოტოგრაფიული სურათები გაგივლიან წინ, სურათები, სავსენი სინამდვილით, სიცხოველით, სიმართლით. ერთის სიტყვით, ტეხნიკა საუკეთე-

---

«დროების» ფელტონი, ოქტ. 9-ს.

### ორი თვე სოფლად

(პროვინციალური მეთვალყურის შენიშვნები)

(შემდეგი*)

ოსები სახით არიან «შვენიერ-ჰაეროვანნი», მეტადრე ქალები; რამდენიც ზევით მიდიხართ მთაში, იმდენად ლამაზს ქალსა და კაცსა ხვდებით, უფრო მოხდენილებს, რიგიანად ჩაცმულ-დახურულებს. ერთი ბუნებითი ჭირი სჭირთ: ქურდობა და ავაზაკობა, ქურდულად დაცემა კაცზე, გაცარცვა და კაცის კვლა იციან. ეს უკანასკნელი ისე არ არის გავრცელებული, როგორც ქურდობა. ოსი თითქმის ყველა ქურდია; არც კაცობა ეთქმის იმისთანა ოსს, რომელსაც ვაჟ-კაცობა არ ჩაუდენია—არ უქურდნია. უწინ ორმოც-და-ათ—სამოც წლებში ოსები გამოდიოდენ ბარად ქართლის სოფლებში და ავაზაკურად ეცემოდენ მგზავრებს, სცარცვამდენ და წინააღმდეგობისთვის ხოცდენ. შემდეგ და შემდეგ ამ ავაზაკურმა თავ-დასხმამ და ცარცვა-გლეჯამ პირი იცვალა, უფრო სხვა სახე მიიღო: ავაზაკური ქურდობა, თუ შეიძლება ასრე გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, გარდაიქცა მშვიდობიან ქურდობად. ჩუმად მოვა; თუ მოგპარა რამე, ხომ კარგი, თუ ვერა, გაიქცევა, წინააღმდეგობას აღარ გაგიწევს. ბარად, ქართლში, ოსებს სილაჩრის სახელი აქვთ დავარდნილი; ძალიან ჯაბან ხალხად მიაჩნიათ. მართალიც არის, ოსი პირდაპირობას ვერ გაგიწევს, თუ არაფერს არ ამოეფარა; ის საფარშია დიდ-გულა და ვაჟ-კაცი; მის გარედ ერთ ქრთილადაც არა ღირს. გასაკვირველიც არ არის, რომ ოსი ბარად ლაჩარი იყოს: ისე გაუხდია ამაყ ბუნებას ოსეთისას; ყოველგან მას საფარი აქვს: ხე, მდინარე, ხევები,—ყველა ეს თითო ნაბიჯზე აქვს ოსს, მუდამ ამათ ჰფარებია და მტერი ისე უგერებია; სად ჰქონდა მას ფართო ადგილი, რომ გაშლით დახვედრიყო მტერს, როგორც უხვდებოდა ხოლმე ქართველი. ოსის ციხესიმაგრეს შეადგენს მისი საცხოვრებელი ადგილი, მისი მთიან-ტყიანი, ამაყი ბუნება. ამიტომაც არის, რომ მოგზაურის თვალი ჯავის ხეობაში სრულიად ვერა ხვდება ძველ, დიდებულ ნაშთებს; აქა-იქ გეჩხირებათ უხეირო და ჟამთა-ვითარებისაგან დაფუცუნებული კოშკები. ამ მხრივ ეს ხეობა, ეს ნაწილი ოსეთისა ძრიელ ღარიბია, იმდენად ღარიბია, რამდენადაც მდიდარია ძველის ნაშთებით ბორჯომის ხეობა. მაგრამ ბუნება ჯავის ხეობისა გასაკვირველად კარგია; იგი ყოველისფრით შემკობილია; მისი უზარ-მაზარი მთები, მდევებივით წამოყუნტულნი, უცნაურად მოქმედობენ მაცქერალზე, რომელიც მათს წინ უნებლიედ ქედს იდრეკს; დროებით ავიწყებინებენ ადამიანს თავს და აგრძნობინებენ მას არა რად. უმთავრესი კავკასიის მთის გრეხილი გადმოგცქერისთ ჩადრ-მოხვეული და თვის ზე-კარას გცემს სახეში. აი რას ამბობს პოეტი ამ უსულო ჰერკულესებზე:

„ბუმბერაზ მთანი მდუმარედ
ცათამდის აყუდებულნი,
სხედან, ვით დევნი, სპეტაკის
ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვან გვერდთა შავადა
ღრუბელნი ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნასა ემუქრებიან....
წყალნი, მთით დაქანებულნი,
ალმასებრ უფსკრულს ცვივიან...

პოეტს ისე ცხადად წარმოუდგენია

*) იხილე «დროება» № 217.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოა; თითოეული სცენა, ზევრჯელ თუ გადამეტებული და ყალბია, ზევრჯელ საგანგებოა, სურათულის მოყვანილობით, მახვილად გამოთქმით.

მაგრამ, სამწუხაროდ, გარეგნობას, ჭოტოგრაფიას, ცალ-ცალკე კარგს სცენას, თითოეულს მოქმედებას ყოველსავე ამას ერთად შეერთებულს და შეკავშირებულს არა აქვს დაფარული თავის ქვეშ მთლიანი სურათი ჩვენის ცხოვრების ავ-კარგიანობისა, ყოველსავე ამას ერთიანი გრძნობა არ მოსდევს ჩვენის ცხოვრების ვითარების შესახებ, ერთიანი აზრი ვერ შეგიგნია მის მნიშვნელობაზე. რადა? იმიტომ, რომ ტიპები არ არის პიესებში; იმიტომ, რომ არც ერთი ღრმად ნაგრძნობი და გულში გატარებული, ავტორის სულით გამთბარი, გულით ნაჭირნახულევი ღრმა ხატება, სურათები, გამოხატული იდეა არ წარმოგიდგება თვალ-წინ, არ შეიპყრობს შენს გონებას, არ მომსჭვალავს შენს არსებას.

შინაარსი „ხანუმასი“ შემდეგია: კარგა ხანში—შესულ სოფლელს თავადს ვ. ფანტიაშვილს მოუსურვებია ქალაქში მდიდარი ცოლის შერთვა. მაჭანკლებს სუნით შეუტყვიათ ეს გარემოება და ქაბატუა მაჭანკალი ურიგებს მას ვაჭრის ტყუილ-კოტრიანცის ქალს, რომელიც უყვარს ახალგაზდა კოტე ფანტიაშვილს, ჩვენის თავადის ძმის-წულს. ამ უკანასკნელს მაჭანკლად აუყვანია ხანუმა, რომელიც ამასთანავე სცდილობს ერთი ყოვლად მახინჯი და შეუფერებელი საპატარძლო გადაჰკიდოს მის ბიძას. ხანუმას შეუტყობენ ამას და ახლო აღარ მიიკარებენ. დატრაბახებული ხანუმა მოდის და ტყუილ-კოტრიანცის ქალის გასინჯვის დროს თვით ეჩვენება თავადს, რომელიც გარბის სახლიდგან სისხლზე მოსული, ილანძღება, იგინება და ემუქრება თავის მაჭანკალს ქაბატუას, რომ ასე ულმერთოდ მოატყუილა, უქო რაღაც ქამი და კინაღამ იმ ჯოჯოს გადაჰკიდა კიდეც.

პიესა იმით თავდება, რომ ახალგაზდა კ. ფანტიაშვილი დაიწერს ჯვარს ტყუილ-კოტრიანცის ქალზე ხანუმასი და მოქეიფე აკოფას მოხერხებითა და წყალობით. ბიძა თანხმდება ამ ჯვარის წერაზე, ქალის მამასაც, რომელიც იმ დილით ბორში წავიდა ფოდრატებისთვის და სწორედ მაშინ დაბრუნდა, როცა გაჩაღებული ქორწილი დაიწყო, ბოლოს დააყაბულებენ. მიკიჩა ტყუილ-კოტრიანცს სიძედ ეს ახალ-გაზდა არ უნდოდა, მაგრამ რაკი მოატყუილეს და ჯვარის-წერაც გაეთავებინათ, მეტი ღონე აღარ იყო, უნდა დათანხმებულიყო.

პიესა, როგორც შინაარსითაც ეტყობა, ძველებური სამკაულით არის მორთული: ქართველი თავადი, უთუოდ ქუჩაზე მწყრალი, (გვარიც ისეთი აქვს) მდიდარს სომხის ქალს დაეძებს ცოლად შესართველად. თვით ცოლის შერთვაც უსათუოდ მაჭანკლების შუამავლობით უნდა მოხდეს. მერე მაჭანკლებიც მაჭანკლებსა ჰქვიან: «ხანუმაში» ისეთი მაჭანკლები არიან გამოყვანილნი, რომ, როცა მაჭანკლობა გახშირებული იყო, ცხოვრება სრულიად ხელს უწყობდა ამ ხელობის აღორძინებასა და ყოვლად შემძლებლობას, არა გვგონია, რომ მაშინაცკი ყოფილიყვნენ ამ გვარნი ცხენიანი კაცის ფეხის მომჭმელნი. მეტადრე უფროსი მაჭანკალი „ხანუმა“, რომლის სახელიც ჰქვიან თვით პიესასაც, საშინელება რამ არის. მიკიჩა ტყუილ-კოტრიანცი ხომ ძველებური სომეხია და ძველებური. იმის ინსტიტუტში გაზრდილს ქალს არ შეუძლიან ხმა ამოიღოს თავის მამის წინაშე. მოინდომა, რომ ქვრივსა და ხანში შესულ კაცს მიათხოვოს და უნდა კიდეც შეასრულოს თავისი განზრახვა, რადგან ეს ხანში შესული კაცი ჰამ მდიდარია და ჰამ 5,000 მანათის მოვალეც არის მიკიჩასი. მაშასადამე, თუ სიძედ მოიკიდა, ეს ფულიც გასაღდება.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ გვარი კაცი არ იცნობს თავის სასიძოს რიგიანად, იმისი სახელი არც კი გაუგონია და არ იცის ვანო ჰქვიან თუ კოტე. ამის გამო აძლევს ბარათს თავის პრიკაზჩიკსა და ნათესავს აკოფას, დასწერე ჯვარი ჩემს სონას კოტეზეო (ვანო კი უნდა სიძედ, მაგრამ ვითომ მოატყუილეს).

ეს ვოდევილური გარემოება თითქმის აუცილებელი საჭიროება არის პიესაში, როგორც ის, რომ მიკიჩა უთუოდ ბორში უნდა ავიდეს, რომ მერე სტანციიდამ ისევ დაბრუნდეს. ინტრიგის საფუძვლად უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ თავადს ვანოს სონას მაგივრად გაესინჯვინება თვით ხანუმა, ჩაცმული ევროპიულად და საშინლად უშნოდ. როგორც პირველი გარემოება, ისე მეორე, ყალბნი, შეუსაბამო გარემოებანი არიან და არა წააგავან სინამდვილეს და ყოველ დღიურს ცხოვრებას.

ყოველსავე ამასთან ერთი სიყალბე კიდევ ის არის, რომ ახალგაზდა კაცი ნასწავლი და ქვეყანაში გამოსული უსათუოდ მაჭანკალს ხანუმას მიმართავს და სამარცხვინო ტანისამოსის გამოცვლითა და მდაბალის თვალთმაქცობის შემწეობით სცდილობს თავის გულის წადილის შესრულებას—ცოლის შერთვას.

ერთის სიტყვით, ამ პიესაში თითქმის არც ერთი მომქმედი პირი არ არის ცოცხალი, ერთი ნამდვილი ჩვენი ცხოვრების წარმომადგენელთაგანი. ერთი პირი არ არის (აკოფასი და გლეხის გარდა), რომ სთქვა, აი ეს სწორედ ბუნებრივად და მარტივად არის დახატული ავტორისაგანაო.

მაშ, რაღა დარჩა პიესაშიო, მაშ რაღად იცინოდა ხალხი, კმაყოფილებით რად მოისმინეს ბოლომდინაო, მკითხავთ?—სუყველა ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ პიესასაც ისეთი ღირსება აქვს, როგორც სხვა ავქ. ცაგარლის პიესებს. მაგ. პიესა ძრიელ სასცენოა, ისე მიდის სცენაზე, როგორც წყალი. მოქმედება მოქმედებას სისწრაფით მისდევს, სცენა-სცენაზე მობმულ ია თანდათანი ზედ-მიყოლებით. ყოველივე სცენა სავსეა მახვილი სიტყვებით, ფრაზებით. მთლად პიესა, როგორც იმახვილა ერთმა ჩვენმა ნაცნობთაგანმა, ლექსიკონია ამ გვარ გამოხატულებათა. ზოგიერთა მოთამაშენი არტისტიულად ასრულებდნენ როლებს.

აი ამ გვარი ღირსებანი აქვს ოჩოფეხებზედ შემდგარს ანახრონიულს კომედიას და ამიტომ, თუმცა შინაარსით ყალბია და ნამდვილ ცხოვრებას არა ჰხატავს, საზოგადოება ისმენს, ხარხარობს და თითქმის კმაყოფილიც მიდის შინ. მოთამაშეებზედ შემდეგ.

## „დროების“ კორესპონდენცია

**კახეთი.** ალავერდობა კახეთში.—უბედური შემთხვევა ალავერდის ტაძარში.—ბეგარა ჩარდახებისა გამო. — თელავის სასულიერო სასწავლებლის ახალი შენობა.

კახეთის მთის კალთის ველზედ, ალაზნის დასავლის მხარეს, არის დიდ-შენი, ზღუდე-პალატებიანი და გუმბათიანი ეკლესია, რომელსაც ჰქვიან ალავერდი. ამან მიიღო სახელი ალონის გამო, რადგანაც არის ალონ-გვერდს, მხოლოდ მერვანყრუს შემდეგ ამას უწოდეს „ალავერდი“, რაიცა ნიშნავს: ღმერთმა მომცა «Dieu m'a donné» signification des mots persans Allah Werdi. *) ეს ეკლესია აღაშენა წმიდა იოსებმან, რომელიც იყო ათცამეტ მამათაგანი და ჰყო პირველად წმიდა გიორგის მონასტრად. მამა იოსები, შემდეგ წოდებული ალავერდელად, ამავე ტაძარშია დასაფლავებული მარცხენა მხარეს. ამ ეკლესიის დღეობა მოდის წელიწადში ორჯელ: ერთი სექტემბრის 14 ს, ჯვართ-ამაღლების დღეს, და მეორეც ნოემბრის ათს, წმიდა გიორგის დღეობას. მთე-

*) იხილე ვახუშტის გეოგრაფია „კახეთის აღწერა“ გვერ. 318. ავტ.

---

დიდებული ქავკასი, ისე აღუბეჭდია მის სულს, რომ თითქო ამ მთების წვერზე მჯდარა, ხელში ჰპყრობია ყარანდაში და გადუხატავსო. ამ დიდებული ადგილის აღსაწერად საკმაოა მხოლოდ ეს პოეტის სიტყვები, რომ ადამიანმა დაიჯეროს: მართლა ასეთი უნდა იყოს ქავკასიო.

როდესაც შედიხართ ჯავის ხეობაში, ვერ ხედავთ უმთავრესს მთა-გრეხილს; მას აფარებული აქვს სამ-ოთხ რიგად სხვა-და-სხვა წვრილ-წვრილი მთები, წვრილ-წვრილი, რასაკვირველია, დიდ მთასთან, როგორც ქართველები ეძახიან „ილბუზთან“ შედარებით. ეს წვრილ-წვრილი მთები ტყით არიან შემოსილნი. ჯავას ზემოდამ იწყობა ფიჭვი, ნაძვი და სოჭი, სხვა ხე აღარ მოიპოვება ტყეებში ლიახვის მარჯვენა ნაპირზედ. მთის წვერები უტყეოდ არიან დარჩენილნი, მაგრამ შემოსილი მშვენიერი სუნელოვანი, აბრეშუმსავით წმინდა და სუფთა ბალახით.

ჰაერი სუფთა, მდინარე და წყაროს წყლები სალი და შემრგო, ბალახი სუნელოვანი—ყველა ეს არის მიზეზი, რომ ოსეთში ყველა ნაირი პირუტყვი კარგად შენობს, საკვირვლად სუქდება და გასაოცარი გემო აქვს. ნიადაგი უხვი და მდიდარია. მოსავალი დიდი მოდის, თუ თოვლი არ ჩამოვიდა უდრო-უდროდ მთაზე. მამული თით. მაჩაბლებს ეკუთვნის, არის სახემწიფო ადგილებიც. ხალხი მამულის პატრონს, აძლევს მეათედს, ზოგან ამაზე ნაკლებს. აქაური გლეხობა ბევრი ნაწილი გაჰქცევია მთის სიცივეებს და ამისაგამო მოსავლის გაფუჭებას და გადასულა იმისთანა მებატონესთან, რომელსაც ქართლზე დაახლოვებით აქვს მამული და თუმცა მთაა, მაგრამ სიცივე არ უხდენს მოსავალს. ზაფხულობით, როგორც მიამბეს მამულის პატრონებმა, წასული სხვასთან აქაური გლეხი კაცი, ბრუნდება თავის «უწინდელ» მამულში თივის გასათიბავად. იგი მოდის ქურდულად; თუ გათიბა და გაასალა იქ მდგომ მეზობლებზე, ხომ კარგი, და თუ ბატონმა მოასწრო, მაშინ, მეტი ჩარა არა აქვს, უნდა გარდასახადი მისცეს. როგორც ეტყობა, თ.თ. მ—ლები თავიანთი მთიდამ ცოტას სარგებლობენ, რადგანაც ძრიელ დაშორებულნიც არიან და მიუდგომელი მამულიცა აქვთ, მეტადრე ჯავა-როკის ხეობა. არც ისე უჯიათად ეკიდებიან, როგორც სხვაგან იღებენ მეათედს ღალას და ზოგან ამაზედ ნაკლებს; სხვა გადასახადსაც ნაკლებად ახდევინებენ.

ჯავიდამ ჩრდილოეთისკენ, როკის ხეობისკენ, ორი ვერსის მანძილზედ მდებარეობს სოფელი ხვწე, რომელზედაც ბატონიშვილი ვახუშტი სწერს შემდეგს: «ხვწის პირის-პირ, ლიახვს გაღმა, კიდურს, არს მიწა სასუნებელი და უდის სუნი ფრიად ძნელი. არამედ ჰკურნებს ქარსა, სევდასა და ინთილასა სუნებითა, გარნა მსუნებელი შებნდების სუნითა» (გვერ. 258 გეოგრ.). აი ამ შესანიშნავის სასუნებლის, „ხვწის აბანოს“, სანახავად მივდიოდით. ეს აბანო მდებარეობს ლიახვის მარცხენა ნაპირზე მთის კალთაზე, რომელსაც გვერდზე ჩრდილოეთისკენ უდევს მშვენიერი ველი. მთიდამ ჭვანავს წყალი და გროვდება ამისთვის საგანგებოდ გაკეთებულს საგუბარში. ეს საგუბარი ამ ჟამად დაბადიმებულია და ზედ მოაჯირი აქვს შემორტყმული; შუა ადგილი ფიცრის იატაკისა, ბადიმისა, ამოჭრილია იმოდენაზედ, რომ ქოთანი ჩავა; ამოჭრილი დახურულია ფიცრის სარქველით. სუნი აქვს მძლავრი ნახშირმჟავესი. პირველ დასუნვაზე ცხვირს სასიამოვნოდ ელიტინება და როდესაც ძრიელ ჩაჰყოფთ თავს და მძლავრად ამოისუნთქავთ, კაცს ანაზდად შეჰბნედს და ისრე მაგრა მოხვდება ცხვირში, თითქო ძირიდამ ხვედა ამოჰკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კახეთი და თითქმის მთელი ქართლიც, თუ არა ვსცდებით, თოთხმეტს სექტემბერს ჯვართ-ამაღლების მაგიერ უწოდებენ ალავერდობას. ამ დღესასწაულს ყოველი მხრის ხალხი მოდის აქ სალოცავად: კახელების გარდა ნახავთ აქ ქართლელებს, ლეკებს ინგილოდან, თათრებს, ოსებს, თუშებს და ქისტებს. ერთი სიტყვით—ამისთანა დღეობა არა მგონია, რომ იცოდეს სადმე და ან ამისთანა წესი სუფევდეს სადმე. დუქნებს აშენებენ მთავრობისაგან მიცემული გეგმით; მთელი ალავერდის მინდორი დაყოფილია ნაწილებად, ქუჩად და ქუჩად; ასე რომ ყოველ-გვარმა მოხელემ იცის, სად და როგორ უნდა დადგეს სავაჭროდ. ამას გარდა იმ ახლო-მახლო სოფლებიდგან, თითო სამამასახლისოდგან, არის ამორჩეული რამოდენიმე კაცი საყარაულოდ, რომ წესიერება სუფევდეს და საქონელი არავინ დაიპაროს. ამის გამო, თუმცა იმოდენა ხალხი იკრეფავს თავს ალავერდში, მაგრამ არავითარი ჩხუბი და არეულობა არა ხდება ხოლმე აქ.

*

წლეულ უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ალავერდის ტაძრისათვის დანიშნულია, ვგონებ, შვიდასი თუმანი თეთრად გასალესად *) და ზოგ ალაგას, სადაც წვიმა სწვეთს, შესაკეთებლად. ეს საქმე მინდობილი აქვთ რუსებს, რომმელაც უკვე მუშაობა კარგა ხანია დაიწყეს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს, როდესაც კალატოზი (ქართველი) ლესავდა შიგნიდამ გუმბათს, გაწყდა თოკი და ოთხმოც-და-ათი არშინის სიმაღლიდგან ჩამოვარდა შიგ შუა ეკკლესიაში უბედური, საძაგლად დამშხვრეულს ამბობენ მნახავები; თურმე სად ტანი ჰქონდა და სად სახე აღარ ეტყობოდა. აი ამისთანა უბედურობა მოხდა თვით ტაძარში და ამით შეშინებულნი ხელოსანნი თურმე უარზე არიან: არ შეგვიძლიან იმ სიმაღლეზედ ავიდეთ და გავლესოთო. კარგი საქმე მოგვივა, თუ ამ მიზეზის გამო ალავერდის სობორო გაულესავი დაგვრჩა!

*

ქართული ანდაზა ამბობს: ქათამმა სთქვა, ძროხა დაჰკლეს, მე დამაკლეს, ცხვარი დაჰკლეს, მე დამაკლესო...

აი ამას რაზედ მოგახსენებთ: თელავის ერთ მაღალ-ხარისხოვანთაგანს განეზრახა ალავერდში წასვლა და დროს გატარება; ამასთანავე, რასაკვირველია, როგორც დიდ-კაცს, მას დასჭირდებოდა, ღამის გასათევად, კარგა მოზდილი ჩარდახი. ამისთვის იმას მოუხმია თავის ერთგული მოსამსახურე და უბძანებია: ხალხი გამოიყვანე და ჩემთვის, რაც-კი საჭირო იყოს მოზდილი ჩარდახისთვის—ბოძები ანუ ფიჩხი მოაჭრევინე და გამოატანინე ალავერდის მინდორზედაო. მოსამსახურესაც ბრძანებისამებრ დაუძახნია ბეგარა, მოუჭრევინებია ათი ურემი ფიჩხი და გაუტანინებია დანიშნულს ალაგას...

*

წელს გაზაფხულზედ დაიწყეს ახალი შენობა თელავის სასულიერო სასწავლებლისა და ეხლა უკვე გაათავეს, თუმცა სრულებით კი არა, მხოლოდ დაბლა სართული არის სრულიად მზად და მაღლაც ამ ცოტა ხანში სულ გამართავენ. მშვენიერი შენობა არის ეს შენობა. თუმცა კარგა ფული დაიხარჯა და კარგადაც შეაწყეს ჩვენი ს—ება, მაგრამ ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ მათ საშვილიშვილო საქმე მოიმოქმედეს. ყოველ წელიწადს სახლის ქირის ძლევას, რომელიც, რასაკვირველია, უფრო მეტად დაუჯდებოდათ, ერთხელვე გაიჭირეს საქმე და გაათავეს. ეს სახლი შეიცავს სულ თერთმეტ ოთახს თავის დერეფანით: 6 დაბლა და 5 მაღლა; მხოლოდ წუნი აქვს რომ ამისთანა თბილ მხარეში, როგორიც არის კახეთი, ამოდენა შენობას ბალკონი არა აქვს, სადაც ბავშვებს წვიმიანს ანუ თბილ ზამთრის დღეს შეეძლოთ გამოსვლა წმიდა ჰაერზედ. ეხლა კი ზაფხულში წვიმიან ან ზამთრის თბილ დღეში ძალა-უნებურად უნდა დარჩნენ ისევ დერეფანში, სადაც ჰაერი შედარებით ცუდია, ვიდრე კარში. კარგი იქნებოდა, რომ ამოდენა ღვაწლთან ბალკონიც გაუკეთონ, თუ სულ ყველა მხარეს არა, ორ მხარეს მაინც.

ნალბანდი.

*) სამწუხაროა, რომ ეს უდიდესი ძეგლთ-სახსოვარი, აგებული ბიზანტიურის წესით, თავის გარეგნობით ანცვიფრებს გაცს, ხოლო შიგნით უსიამოვნოდ გხდით ის გარემოება, რომ კედლის მხატვრობა სრულიად აღხოცილია, რადგან უკანასკნელად განახლების დროს კირით იქმნა კედლები გალესილი.

ავტ.

# ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

ოქტომბრის 9-ს

**მოსკოვი.** სოლოდოვნიკოვის პასაჟის 67 მაღაზიის გარდა, დაიწვა და დანაცრდა კიდევ 10 მახლობელი მაღაზია პეტროვკაზე, კუზნეცკის ხიდზე და ნეგლინის გასავალზე; ხლებნიკოვის მაღაზიიდამ ვერცხლსა და ოქროს ნივთები, როგორც იყო, გადაარჩინეს. ზარალი რომელიც ამ ცეცხლისაგან მოხდა, სამს მილიონამდე ადის.

**კაირი.** ქედივის წინააღმდეგობის გამო, ნორსბრუკისაგან განზრახული გაუქმება ეგვიპტის ჯარისა აღარ მოხდა. ეხლა ფიქრობენ შეამცირონ მხედრობა მხოლოდ 3,000 კაცამდე.

**ლონდონი.** ინგლისი დათანხმდა საზოგადოდ კონგოზე შემდგარს კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე.

# ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-

---

რესო. სუნი სდგას ისეთი, როგორც მარანში მაჭრების დუღილის დროს.

აბანოს გარემო, და ის მთაც, საიდამაც გამომდინარეობს იგი, სულ ნაცრის ფერი დანოტიავებული მიწაა; თუ ამ ნაცარ-მიწას გასრესთ, მაშინ შიგნით სჩნდება ზაზიამნის ფერი მიწა, რომელსაც მჟავე სუნი უდის. იქვე ამ აბანოს მთის მეზობლად გამოდის მშვენიერი ცივი წყარო, რომელსაც არავითარიმე მსგავსება არა აქვს აბანოსთან. ზაფხულობით ხალხი ბლომად დაიარება საბანებლად. ოსებს ხომ ისრე სწამთ, როგორც სასწაულთ-მომქმედი ხატი. ყოველი ამვლელ-ჩამომვლელი ოსი ვალდებულად რაცხს თავის თავს ჩამოხტეს ამ აბანოსთან და დასუნოს მას (აბანო გზის პირად არის). დილით ჰხედავთ, რომ მოსულა ერთი ჯარი ხალხი და რიგ-რიგად მიდის დასასუნავად; ზოგი ფეხებს ჰყოფს, ზოგი სვამს და სხვ. ყოფილა მაგალითები, რომ გაუფთხილებლოსისაგამო სუნვის დროს შიგ ჩამხრჩვალან. ჩვენ გვსურდა გამოგვეცადნა, თუ როგორ სწრაფად მოქმედობს ცხოველ არსებაზე აბანოს „გაზი“,—ამიტომ დავაჭერინეთ ორი წლის ტახი. ჩავუყავით თავი, საათი დავნიშნეთ, და წამ-ნახევარზე ტახი სრულიად მკვდარი ამოვიღეთ. იდო მკვდარივით ორი წამი, შემდეგ ტოკვა შექმნა, წამოდგა სინსილა—გამოცლილი, ტორტმანით დაეშვა კიდურიდგან, შევარდა ლიახვში, რომელმაც სრულიად მოაცნობილა, და გავარდა მდინარის მეორე ნაპირზე, საიდამაც ტახმა გაოცებით დაგვიწყო ცქერა. ეს აბანო, როგორც თავის თავზე გამოცდილებით დარწმუნებულებმა გვიამბეს, ჰკურნებს ქარიანებს, ახალებს თავის-ტკივილს, თვალის ავადმყოფებს და სხვ. ამ სამაჩაბლო მთაში ბევრგან არის მინერალური წყლები; სხვა-და-სხვა მადნეულობა და ნავთის წყაროები, მაგრამ უგზოობა ყველა ამას უქმად ხდის. თუ, ვინიცობაა, აქეთ, ამ ჯავაროკის ხეობაში რკინის გზა გამოატარეს, როგორც ამბობენ, მაშინ მთის პატრონებს დიდი ხეირი მიეცემათ; ბევრი სიმდიდრე გამოვა ამ ხეობიდამ, რომელსაც მოჰფენს საქართველოს მხარეს; მინამ კი ამ ბუნებითი სიმდიდრის გამოყენებას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები აქვს.

ხვწის პირ-და-პირ, ჩრდილოეთ დასავლეთისკენ სძევს მთა, რომელსაც სახელად უწოდებენ ოსები „რატი მთა“. ამ მთაზე აიტყუეს თომაშვილებმა რუსის რაზმი და ამოსწყვიტესო. ნიშნად დარჩაო ხატი ბერძნულის თუ სლავიანურის წარწერით. ეს მიამბო ადგილობრივმა ინტელიგენტმა.

— ეს ხეობა ავსილია ძველებითა; ვის შეეძლო აქ შემოსვლა, მაგრამ ღალატი ყველგან აკეთებს საქმეს ბოროტად, — სთქვა ჩემმა მოსაუბრემ. ჩვენი ხალხის თანაგრძნობა და სიმპატია ქართველებისკენ არის; ქართული ეხერხებათ; ქართული წერა-კითხვა ესახელებათ.

— ვგონებ, ოსებს ყველა უცხო ენაზე სწავლა ესახელებათ; თქვენ ჩქარა ივიწყებთ ყოველსავე თქვენს. ოსი უბრალოდ გასცვლის თავის ძვირფასს გრძნობებს და თავის ხალხს გაჰყიდის: ვუთხარი მე.

— სულ ყველაფერი თქვენს ნათქვამში მართალი არის. ოსებმა, როგორც ხალხმა, აღარ იციან, რას მოჰკიდონ ხელი, და იგინი, ესე იგი ჩვენ, სთქვა ინტელიგენტმა, უნდა შევუერთოთ ჩვენი ხალხი მეზობელს ხალხს ყოვლის ფრით; ეს ასეც მოხდება.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზულ სავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5 დღას შემოღებული იქნება მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათ.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორიძე**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილიპოვისა**, სამშაბათობით.

**ბაბინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოშკისა**, ხუთშაბათობით და კვირაობით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1884 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა | 1 გირ. | 5 კ. |
| ქართული ფქვილისა: პირველის ხარისხისა | 1 გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა | 1 გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხისა | 1 გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა | 1 გ. | 3 კ. |
| მესამისა | 1 გ. | $2\frac{1}{2}$ |
| ქვარის-მმი პური: | | |
| პირველი ხარის. ღვეზელი | 1 გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ღვეზელი | 1 გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა | 1 გ. | 3 კ. |
| მროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | 1 გ. | 7 კ. |
| მეორისა | 1 გ. | 6 კ. |
| სუკი | 1 გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | 1 გ. | — კ. |
| მეორისა | 1 გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო სამტრედიამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით სახჭრო 10 ს. 58 წ. დ.)

ქუთაისიდამ თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდამ ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდამ თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდამ თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო სამტრედიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით სახჭრო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

**ინგლისური რკინის კროვატები.**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდის. გიდე შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ზრდილობის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, სტაქანი, სამოვრები, ჩაის და სუფრის კოვზები ჩანგლებით, ფაიფურისა, დასადგმელი, ბროლისა, სტაქნები, [illegible], რიუმკები, გრაფინები, საჭურჭლე თეფშები, ბლიუდები, სასადილოები, ტაშტები, სარკეები, სამარილეები, [illegible], ფანჯრები კედლის და ქალღისა; ალგარები, ხალიჩები, ტანისამოსის დასაკიდებლები, [illegible], უთოები, [illegible], ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თაფშები და რეგულატორები, [illegible], ზღვის ბალახი, დომატებები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს გურჯალებს მაიტეით. (100—57)

გამოვიდა და იყიდება თბილისის უმთავრეს წიგნის მაღაზიებში მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური

**ლექსიკონი**

**მცენარეთა, ცხოველთა**

**და**

**ლითონთა**

სამეფოებიდგან, შედგენილი თავ. რაფ. ერისთავისაგან. — ფასი ადგილობრივ ორი მანეთი. (10—7)

**თელავის დამზღვეველი საზოგადოების მმართველობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამავე საზოგადოების «დეპო»-ში იღებს გასასყიდად ყოველ-გვარ ქართულ ღვინოს. გასყიდული ღვინის ფულს, წიგნის პატრონი მიიღებს [illegible] იანვრის თვეში, წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ. 10% გამორიცხვით «დეპოს» სასარგებლოდ. (10—8)

**გამოვიდა და იყიდება**

**თბილისში** — „ნობათი"-ს რედაქციაში (ალექსანდროვის ბაღთან, ხანინის გვერდით, თუმანიშვილის სახლში № 7), შავერდოვის სააგენტოში და **ქუთაისში** — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში

# თორნიკე ერისთავი

## ისტორიული პოემა

თხზ. აკაკისა. გამოცემა ჟურნალი „ნობათი"-ს რედაქციისა.

ფასი ერთი მანათი.

ვინც ამ წიგნს პირ-და-პირ „ნობათი"-ს რედაქციიდამ დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი არ გადახდება. (5—5)

გაიხსნა ახალი საწყობი

**პურის სპირტის**

და

**დაწმენდილი ვოდკებისა**

კანტორა გლადიკავკაზის სვიატო-ტროიცკის არაყის ქარხნისა შთამოკავლობითი საპატიო მოქალაქის ივანე ადამის ძის **ფორაქოვისა** და დავით ადამის ძის **სარაჯოვისა** ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სანარდო საწყობი პურის სპირტისა და დაწმენდილი ვოდკებისა ქ. თბილისში, თამამშოვის ქარვასლაში, ერევნის მოედანზედ, ალელოვის კანტორის გვერდით.

საწყობში არის მრავალ-გვარი პურის სპირტი: კონიაკისა, ლავისა, ლიკიორისა და აბსოლიუტური ალკოჰოლი; აგრეთვე ვოდკები: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო ვოდკა საუკეთესო თვისებისა.

სპირტი და დაწმენდილი ვოდკები ამ საწყობისა წვრილ-წვრილად იყიდება ჭურჭლით ქ. თბილისში შემდეგს მაღაზიებში: **აკოფოვისაში**, გოლოვინის პროსპექტზედ, მუხრანსკის სახლებში, **მირზახანოვისაში**, ერევნის მოედანზედ, იზმიროვის სახლებში და **შაკიევისაში**, სოლოლაკში, სუმბათოვის სახლებში. ჭურჭლები ერთ-ვედროიანი, $\frac{1}{2}$ ვედროიანი, $\frac{1}{10}$, $\frac{1}{16}$, $\frac{1}{20}$, და $\frac{1}{40}$-ვედროიანი, ეტიკეტით და საწყობის ბეჭდით. «მარკა»: „Владикавказскій Свято-Троицкій вино-куренный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада". ამავე ადგილებში გაიყიდება სპირტი და ვოდკები წვრილ-წვრილად 3 ვედრომდე 1, $\frac{1}{2}$, და $\frac{1}{4}$-ვედროიანი ჭურჭლით საწყობის ფასზედ.

ფასები ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და ვოდკებს საწყობი თითონ ჩააბარებს შემომკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს — გარეშელთ უნდა თავიანთ მოთხოვნილება შემდეგის ადრესით გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ал. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1. (15—1)

**ბიბლიოგრაფიული განცხადება**

**დედანი** ქართული წერისა, სურათებით, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და იყიდება გამომცემლის ზაქარია ჭიჭინაძის? — ბრიქულოვის მაღაზიაში. ფასი ექვსი შაური; ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, დედანი დაეთმობა ხუთ შაურად. აგრეთვე იყიდება იქვე და სარქისოვის მაღაზიაში ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი **დახაზული ქაღალდი**, თაბახი კაპეიკ-ნახევრად. რვეულები მზადდება და ელირება: ორ-თაბახიანი ოთხ კაპეიკად და ოთხ-თაბახიანი რვად.

**კონა** საყმაწვილო მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, მეორე შევსებული გამოცემა, სურათებით, იყიდება იქვე, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად. (10—9)

**არწრუნისეულ ქარვასლაში**

სასახლის ქუჩაზედ, იქირავება ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—21)

*Доз. ценз. Тифлисъ, 9 Октября 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძის და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი, რედაქტორი ი. მაჩაბელი